ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 05 აგვისტოს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ხელმღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ალექსანდრე ტაბატაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: შმაგი ხიჯაკაძე

3. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი 2024 წელს განსახორციელებელი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 01 აპრილის N69. 69240926 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პეტრე შარიქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 05 აგვისტოს მორიგი სხდომის

ოქმი N12

2024 წლის 05 აგვისტო

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, ქეთევან ზუმბაძე, ბაქარი ბარბაქაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ეკატერინე შველიძე, ნანა გორგაძე, კობა გოგსაძე, კონსტანტინე ბერაძე სულ საკრებულოს 27 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

პეტრე შარიქაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი.

ალექსანდრე ტაბატაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ხელმღვანელი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზ. ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

მ. შარიქაძე საკრებულოს აპარატის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ნ. ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

ლ. გოგოლაძე გაზეთი „ჩემი ხარაგაულის“ რედაქტორი

ნ. კაპანაძე გაზეთი „ჩემი ხარაგაულის“ ჟურნალისტი

ს. გლუნჩაძე ოპერატორი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი

დღის წესრიგი

1. ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ხელმღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ალექსანდრე ტაბატაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: შმაგი ხიჯაკაძე

3.„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი 2024 წელს განსახორციელებელი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 01 აპრილის N69. 69240926 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პეტრე შარიქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი.

მომხრე 27

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ თორნიკე ავალიშვილმა საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე დააყენა წინადადება სხდომაზე მოეწვიათ მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი, ცალკეულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ინფორმაციის მიღების მიზნით, რასაც აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა მერის პირველ მოადგილეს, ქართული ოცნების წევრთა და ნაციონალური მოძრაობის წევრთა შორის, რაც შემდგომ გადაიზარდა კამათსა და სიტყვიერ დაპირისპირებაში, მალევე ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის 5 წევრმა დემონსტრაციულად დატოვეს საკრებულოს სხდომა. ინციდენტის ამოწურვის შემდეგ

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არა კომერციული) იურიდიული პირი „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ხელმღვანელის ალექსანდრე ტაბატაძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

შ. ხიჯაკაძემ საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი, სამსახური კარგად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რა საშუალებაც აქვს იყენებს მაქსიმალურად და აქვს კარგი შედეგი, კომისია მათ საქმიანობას აფასებს დადებითად.

ვ. ოდიკაძე საკრებულოს წევრი კომისიის წევრი ვიცნობ კარგად ამ სამსახურის საქმიანობას, ხშირად გვაქვს კონტაქტი სამსახურებრივად, რა შეკითხვებიც იყო ყველა საკითხზე მივიღე დადებითი პასუხი და რა თქმა უნდა საქმიანობას ვაფასებთ დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა შ. ხიჯაკაძისა და ვ. ოდიკაძის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე .

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 22 წევრი.

მომხრე 22

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას თავმჯდომარის შმაგი ხიჯაკაძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულო ი. პაქსაშვილის წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე .

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 22 წევრი.

მომხრე 22

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი 2024 წელს განსახორციელებელი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 01 აპრილის N69. 69240926 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 22 წევრი.

მომხრე 22

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**